

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს  
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი # 33

ქ.თბილისი

2021 წლის 24 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 24 მარტს, სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა თავართქილაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის გ. ჯოხიას ოქმი, მატჩის მთვარი მსაჯის ო. მოგელაშვილის საითინგი და მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 20 მარტს, ჭაბუკთა „ა“ ლიგის მატჩზე, თბ“ზვამლი“-სა და თბ „ლოკომოტივი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

1. თბ „ლოკომოტივი“-ს მწვრთნელი ვახო კავთიძე - აგრესიული, არაეთიკური და არასპორტული საქციელი მატჩის ოფიციალურ პირთა მიმართ.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.1, სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ს 1.1 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. თბ „ლოკომოტივი“-ს მწვრთნელი ვახო კავთიძე დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
2. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კლუბის მიმართ ამოქმედდება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
3. კლუბის მიერ ჯარიმის 7(შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში არ გადახდის შემთხვევაში, ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ს 1.1 პუნქტი და თბ“ლოკომოტივის“ ჭაბუკთა „ა“ ლიგაში დააკლდება 3(სამი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/